

საქართველოს კანონი

„სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №25-26, გვ.5) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ეს კანონი ადგენს სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის, აგრეთვე ამ მოქმედებასთან დაკავშირებული სამართლებრივი კონსულტაციისა და ტექნიკური მომსახურებისათვის განკუთვნილი საზღაურის ოდენობასა და გადახდევინების წესს, აგრეთვე ნოტარიუსთა პალატისათვის განკუთვნილი საფასურის ოდენობას და გადახდევინების წესს.“

2. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, გარიგებაში ცვლილების შეტანისას, რაც არ არის დაკავშირებული გარიგების ღირებულებასთან ან პირთა შეცვლასთან, ცვლილების დადასტურების საზღაურია 25 ლარი.“

3. მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18. სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება

1. კაპიტალის და/ან საპაიო შენატანის მქონე სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის შექმნასთან ან რეორგანიზაციასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულებაა კაპიტალი და/ან საპაიო შენატანი.

2. კაპიტალში და/ან საპაიო შენატანში ცვლილებებთან დაკავშირებულ მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაური გამოიანგარიშება მხოლოდ გაზრდილი ან შემცირებული თანხიდან.

3. იმ გარიგების ღირებულება, რომლის საფუძველზეც ხდება კომერციული იურიდიული პირის წილის გასხვისება, გამოიანგარიშება კაპიტალში და/ან საპაიო შენატანში შესაბამისი გასასხვისებელი წილის პროპორციულად.

4. სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის წესდებაში იმ ცვლილებების დამოწმებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის კაპიტალთან და/ან საპაიო შენატანთან, საზღაური 15 ლარია.

5. კაპიტალის არმქონე სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის შექმნასთან ან რეორგანიზაციასთან დაკავშირებული გარიგების დამოწმებისათვის საზღაური 25 ლარია.

6. ამ მუხლით განსაზღვრულ მოქმედებათათვის (გარდა მე-4 პუნქტისა) საზღაური არ უნდა იყოს 25 ლარზე ნაკლები და 1000 ლარზე მეტი.“.

4. მე-20 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 20. საზღაური სააქციო საზოგადოების საერთო კრების ოქმის შედგენისათვის

სააქციო საზოგადოების საერთო კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილებების შესახებ ოქმის შედგენისათვის საზღაურია სააქციო საზოგადოების კაპიტალის 0,2%, რომელიც არ უნდა იყოს 150 ლარზე მეტი.“.

5. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 20¹ მუხლი:

„მუხლი 20¹. საზღაური ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების ოქმის შედგენისათვის

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების ოქმის შედგენისათვის საზღაურია 100 ლარი.

2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების ჩაშლის შესახებ მოწმობის გაცემისათვის საზღაურია 50 ლარი.“.

6. 21-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

7. 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 29. საზღაურის მყარი განაკვეთებით ანაზღაურებადი სანოტარო მოქმედებები

საზღაურის მყარი განაკვეთებით ანაზღაურდება შემდეგი სანოტარო მოქმედებები:

1.	ანდერძის დადასტურება	9 ლარი
2.	ანდერძის გახსნის შესახებ ოქმის შედგენა	5 ლარი
3.	ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება	2 ლარი
4.	დოკუმენტის თარგმანის სისწორის დადასტურება	თითოეული გვერდისთვის 1 ლარი
5.	დოკუმენტის ასლისა და დოკუმენტიდან ამონაწერის დადასტურება	თითოეული გვერდისთვის 0.5 ლარი
6.	იმ დოკუმენტის ასლის გაცემა, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროში	3 ლარი
7.	ქონების მინდობის (დავალების)	5 ლარი

	ხელშეკრულების დამოწმება განკარგვის უფლებით/განკარგვის უფლების გარეშე	
8.	იურიდიული პირის მიერ გაცემული რწმუნებულების დადასტურება	5 ლარი
9.	ფიზიკური პირის მიერ გაცემული რწმუნებულების დადასტურება	2 ლარი
10.	საზღვაო პროექტის შესრულება	300 ლარი
11.	ლოკუმენტის შენახვა (ანდერძის გარდა)	ყოველი თვისთვის 0.25 ლარი
12.	ანდერძის შენახვა	1.5 ლარი
13.	მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება	2 ლარი
14.	მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის დადასტურება	2 ლარი
15.	ლოკუმენტის წარდგენის დროის დადასტურება	2 ლარი
16.	მოქალაქის ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან იგივეობის ფაქტის დადასტურება	2 ლარი
17.	ნოტარიუსის მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებების გადაცემა სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის	3 ლარი
18.	განცხადების პროექტის შედგენა	1 ლარი
19.	განცხადების ან უწყების ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის გადაცემის ან გადაცემის შეუძლებლობის შესახებ მოწმობის გაცემა	2 ლარი
20.	სამკვიდრო მოწმობის გაცემა იმ ქონებაზე, რომლის შეფასებაც შეუძლებელია	5 ლარი
21.	აღნაგობის უფლებასთან დაკავშირებით გაცემული წინასწარი თანხმობის დადასტურება	9 ლარი
22.	სააღსრულებო ფურცლის გაცემა	100 ლარი

8. 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალბდეს შემდეგი რედაქციით:
 „1. პირი, რომლის თხოვნითაც სრულდება სანოტარო მოქმედება, ვალდებულია აანაზღაუროს სანოტარო მომსახურებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სატელეფონო კავშირის, ფაქსის, ტელეფაქსის, საფოსტო გზავნილების, სატრანსპორტო, სანოტარო მოქმედების შესასრულებლად აუცილებელი დოკუმენტების და ინფორმაციის გამოთხოვის, აგრეთვე სანოტარო მომსახურების შედეგად დამოწმებული დოკუმენტის და/ან უფლების რეგისტრაციის ხარჯები. ეს მომსახურება გაიწევა პირთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.“.

9. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 31¹ მუხლი:

„მუხლი 31¹. სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური

1. სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის წიგნში (რეესტრში), მათ შორის, ელექტრონულ წიგნში (ელექტრონულ რეესტრში) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასურია 2,0 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) გარდა ასლის დედანთან/დამოწმებულ ასლთან შესატყვისობის დამოწმების რეგისტრაციისა, რომლის საფასურია 0,5 ლარი (დღგ-ს გარეშე).

2. სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური გადაიხდეინება ნოტარიუსთან, რომელიც უზრუნველყოფს მის შეტანას საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ანგარიშზე.“.

10. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის VI¹ თავი:

„თავი VI¹

ნოტარიუსთა პალატის არქივში დაცული დოკუმენტების ასლებისა და ინფორმაციის გაცემის საფასური

მუხლი 34¹. ნოტარიუსთა პალატის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული ვადები და საფასურის ოდენობა

1. ნოტარიუსთა პალატის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებულია შემდეგი ვადები და განსაზღვრულია საფასურის შემდეგი ოდენობა:

ა) ნოტარიუსთა პალატის არქივში დაცული სანოტარო დოკუმენტების დამოწმებული ასლების გაცემა: 4 სამუშაო დღის ვადაში – 10 ლარი;

ბ) ნოტარიუსთა პალატის არქივში დაცული დოკუმენტებისა და მათი შინაარსის შესახებ ინფორმაციის/ცნობის, ან დოკუმენტების არარსებობის, სანოტარო მოქმედების შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაციის/ცნობის გაცემა: 4 სამუშაო დღის ვადაში – 10 ლარი; ამასთანავე, თუ ინფორმაცია/ცნობა შეიცავს რამდენიმე ნოტარიუსის არქივში დაცული დოკუმენტების შესახებ ინფორმაციას, საფასურის ოდენობა იზრდება შესაბამისი ჯერადობით;

გ) ნოტარიუსთა პალატის არქივში დაცული დოკუმენტების ასლების დამზადება: 4 სამუშაო დღის ვადაში – 0,5 ლარი თითოეული გვერდისათვის.

2. ნოტარიუსთა პალატა დაჩქარებულ მომსახურებას ახორციელებს შემდეგ ვადებში და შემდეგი საფასურით:

ა) ნოტარიუსთა პალატის არქივში დაცული სანოტარო დოკუმენტების დამოწმებული ასლების გაცემა: განცხადების შეტანის

დღეს (სამუშაო დღის ვადაში) – 30 ლარი, განცხადების შეტანიდან ერთ სამუშაო დღეში - 20 ლარი;

ბ) ნოტარიუსთა პალატის არქივში დაცული დოკუმენტებისა და მათი შინაარსის შესახება ინფორმაციის/ცნობის გაცემა: განცხადების შეტანის დღეს (სამუშაო დღის ვადაში) – 30 ლარი, განცხადების შეტანიდან ერთ სამუშაო დღეში - 20 ლარი;

გ) ნოტარიუსთა პალატის არქივში დაცული დოკუმენტების ასლების დამზადება: განცხადების შეტანის დღეს (სამუშაო დღის ვადაში) – 5 ლარს დამატებული 0,5 ლარი თითოეული გვერდისათვის.

3. საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებულია საბიუჯეტო დაწესებულებებისათვის გაწეული მომსახურება, აგრეთვე ნოტარიუსის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია/ცნობა, დოკუმენტის ასლის დამოწმება.

მუხლი 34². ნოტარიუსთა პალატისათვის გადახდილი საფასურის უკან დაბრუნება

1. ნოტარიუსთა პალატისათვის გადახდილი საფასური განმცხადებელს უბრუნდება, თუ:

ა) განმცხადებელმა განაცხადის შემოტანამდე მოითხოვა გადახდილი თანხის დაბრუნება;

ბ) საფასური გადახდილია ამ კანონით განსაზღვრულ განაკვეთზე მეტი ოდენობით. ამ შემთხვევაში ბრუნდება სხვაობა გადახდილ თანხასა და ამ კანონით განსაზღვრულ განაკვეთს შორის;

გ) საფასური გადახდილია ამ კანონის შესაბამისად საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებული სუბიექტის მიერ;

დ) სანოტარო პალატის არქივში არ აღმოჩნდა დოკუმენტი, რომლის ასლის დამზადებისა და/ან დამოწმებისათვის იქნა გადახდილი საფასური;

ე) დაჩქარებული მომსახურება არ განხორციელდა დაინტერესებული პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით. ამ შემთხვევაში ბრუნდება სხვაობა დაჩქარებული მომსახურებისა და დაჩქარების გარეშე მომსახურების დადგენილ საფასურს შორის.

2. საფასური ბრუნდება დაინტერესებული პირის მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან სრულად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას. მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს საფასურის გადახდიდან ოცდაათი დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი საფასური არ ბრუნდება. ამ ვადის გაგრძელება ან გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

